



უკანონო აგიტაცია

1. მიმდინარე წლის 19 სექტემბერს, „გურიანუსი“-ს მიერ გამოქვეყნებული [ინფორმაციის თანახმად](#), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა შუა ამაღლების ადმინისტრაციულ ერთეულში - ბელა შათირიშვილმა, სამუშაო საათების განმავლობაში მონაწილეობა მიიღო წინასაარჩევნო აგიტაციაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საიამ განცხადებით მიმართა №62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიასა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათშორის კომისიას.

2. მიმდინარე წლის 9 სექტემბერს, ტელეკომპანია „გურჯაანი“-ს მიერ გავრცელებული [ინფორმაციის თანახმად](#), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გურჯაანში - დავით სონდულაშვილი, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ქართულ-ფრანგულ სადიაგნოსტიკო ცენტრს, „კახეთი-იონს“ ეწვია. შეხვედრის დროს, ტელევიზიასთან კომენტარი გააკეთა სავარაუდოდ უცხო ქვეყნის მოქალაქემ, ცენტრის პრეზიდენტმა - ერიკ ჟანნიმ, რომელიც [ამჟამად სააგიტაციო მონაწილეებს](#) შეიცავს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საიამ განცხადებით მიმართა №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიასა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათშორის კომისიას.